

შპს „რობერტ ბოში“

მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტების
(მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის ფასს-ის) მიხედვით
მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2022 წ.

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა	5
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
3. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები	10
4. ძირითადი საშუალებები	10
5. მარაგები	11
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11
8. საწესდებო კაპიტალი	11
9. მიღებული ავანსები	12
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
11. ამონაგები	12
12. გაყიდული საქონლის თვითღირებულება	12
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
14. დისტრიბუციის ხარჯები	13
15. სხვა საოპერაციო ხარჯები	13
16. ფინანსური დანახარჯები	14
17. პირობითი ვალდებულებები	14
18. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები	14
19. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	15

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს რობერტ ბოშის აქციონერებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს რობერტ ბოშის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესსს-ის კოდექსი) და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენი:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუას“ სახელით (SARAS-F-855308)

2023 წლის 4 ივლისი

თბილისი, საქართველო



**Building a better
working world**

- ▶ დასკვნა გამოგვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2023 წლის 4 ივლისი

თბილისი, საქართველო

შპს „რობერტ ბოში“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(რიცხვები ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	88,276	106,009
სულ გრძელვადიანი აქტივები		88,276	106,009
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	2,793,988	3,585,525
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,057,017	652,758
სხვა საგადასახადო მოთხოვნები		176,183	103,720
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	1,047,958	1,702,863
სულ მოკლევადიანი აქტივები		5,075,146	6,044,866
სულ აქტივები		5,163,422	6,150,875
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	2,636,275	2,636,275
გაუნაწილებელი მოგება		1,859,239	1,649,118
სულ საკუთარი კაპიტალი		4,495,514	4,285,393
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	9	329,867	225,320
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	210,747	1,515,050
დასაკმებულებზე გასაცემი ხელფასები		116,535	117,968
სხვა ვალდებულებები		10,759	7,144
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		667,908	1,865,482
სულ ვალდებულებები		667,908	1,865,482
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		5,163,422	6,150,875

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია 2022 წლის 4 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

მიხეილ ჩიქოვანი
გენერალური დირექტორი



ნინა ვასილიყვა
ფინანსური დირექტორი

შპს „რობერტ ბოში“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(რიცხვები ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	88,276	106,009
სულ გრძელვადიანი აქტივები		88,276	106,009
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	2,793,988	3,585,525
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,057,017	652,758
სხვა საგადასახადო მოთხოვნები		176,183	103,720
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	1,047,958	1,702,863
სულ მოკლევადიანი აქტივები		5,075,146	6,044,866
სულ აქტივები		5,163,422	6,150,875
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	2,636,275	2,636,275
გაუნაწილებელი მოგება		1,859,239	1,649,118
სულ საკუთარი კაპიტალი		4,495,514	4,285,393
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	9	329,867	225,320
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	210,747	1,515,050
დასაქმებულებზე გასაცემი ხელფასები		116,535	117,968
სხვა ვალდებულებები		10,759	7,144
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		667,908	1,865,482
სულ ვალდებულებები		667,908	1,865,482
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		5,163,422	6,150,875

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია 2022 წლის 4 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

მიხეილ ჩიქოვანი

გენერალური დირექტორი

ნინა ვასილიევა

ფინანსური დირექტორი

შპს „რობერტ ბოში“


მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(რიცხვები ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	11	22,806,108	19,149,358
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	12	(19,451,234)	(15,778,168)
საერთო მოგება		3,354,874	3,371,190
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(1,159,136)	(1,099,803)
დისტრიბუციის ხარჯები	14	(494,938)	(763,355)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(927,518)	(805,238)
სხვა შემოსავალი		169,972	23,976
საოპერაციო მოგება		943,254	726,770
ფინანსური დანახარჯები	16	(230,580)	(237,547)
მოგება დაბეგვრამდე		712,674	489,223
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(86,713)	–
წლის წმინდა მოგება		625,961	489,223
წლის მოგება, სულ		625,961	489,223

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 4 ივლისის შემდეგი პირების მიერ:


მიხეილ ჩიქოვანი
გენერალური დირექტორი


ნინა ვასილიევა
ფინანსური დირექტორი

შპს „რობერტ ბოში“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(რიცხვები ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	11	22,806,108	19,149,358
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	12	(19,451,234)	(15,778,168)
საერთო მოგება		3,354,874	3,371,190
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(1,159,136)	(1,099,803)
დისტრიბუციის ხარჯები	14	(494,938)	(763,355)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(927,518)	(805,238)
სხვა შემოსავალი		169,972	23,976
საოპერაციო მოგება		943,254	726,770
ფინანსური დანახარჯები	16	(230,580)	(237,547)
მოგება დაბეგრამდე		712,674	489,223
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(86,713)	–
წლის წმინდა მოგება		625,961	489,223
წლის მოგება, სულ		625,961	489,223

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 4 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

მიხეილ ჩიქოვანი

გენერალური დირექტორი

ნინა ვასილიევა

ფინანსური დირექტორი

შპს „რობერტ ბოში“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(რიცხვები ლარშია მოცემული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2021 წლის 1 იანვარს	2,636,275	1,159,895	3,796,170
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	489,223	489,223
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,636,275	1,649,118	4,285,393
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	625,961	625,961
გამოცხადებული დივიდენდები (8-ე შენიშვნა)		(415,840)	(415,840)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,636,275	1,859,239	4,495,514

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 4 ივლისს შემდეგი პირების მიერ:


 მიხეილ ჩიქოვანი
 გენერალური დირექტორი




 ნინა ვასილიევა
 ფინანსური დირექტორი

შპს „რობერტ ბოში“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(რიცხვები ლარშია მოცემული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2021 წლის 1 იანვარს	2,636,275	1,159,895	3,796,170
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	489,223	489,223
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,636,275	1,649,118	4,285,393
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	625,961	625,961
გამოცხადებული დივიდენდები (8-ე შენიშვნა)		(415,840)	(415,840)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,636,275	1,859,239	4,495,514

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 4 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

მიხეილ ჩიქოვანი

გენერალური დირექტორი

ნინა ვასილიევა

ფინანსური დირექტორი

შპს „რობერტ ბოში“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(რიცხვები ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2022	2021
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება დაბეგვრამდე		712,674	489,223
არაფულადი შემოსავლის და ხარჯების კორექტირებები:			
ცვეთის ხარჯი	4	40,270	38,757
მარაგების ჩამოწერა		–	6,174
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების (გაუქმება)	15	(95,342)	(100,420)
მარაგების რეზერვის (გაუქმება)	15	(56,864)	(49,596)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		91,882	204,463
ფინანსური დანახარჯები	16	–	21,352
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		692,620	609,953
ცვლილება მარაგებში		848,401	120,352
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(536,901)	511,375
ცვლილება მიღებულ ავანსებში		104,547	(358,537)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(911,460)	707,764
ცვლილება დასაქმებულთა მიმართ ვალდებულებებში		(1,433)	34,870
ცვლილება სხვა საგადასახადო მოთხოვნებში		(72,463)	(54,691)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებების შემდეგ		123,311	1,571,086
გადახდილი პროცენტი		–	(22,292)
მოგების გადახდილი გადასახადი		(86,713)	–
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		36,598	1,548,794
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შესყიდვები		(22,537)	(2,769)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(22,537)	(2,769)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
დივიდენდების გადახდა	8	(415,840)	–
ნასესხები სახსრების დაფარვა		–	(711,240)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(415,840)	(711,240)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		(401,779)	834,785
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტზე		(253,126)	(323,614)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,702,863	1,191,692
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	1,047,958	1,702,863

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 4 ივლისის შემდეგი პირების მიერ:

მიხეილ ჩიქოვანი

გენერალური დირექტორი

ნინა ვასილიევა

ფინანსური დირექტორი

5-15 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „რობერტ ბოში“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(რიცხვები ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2022	2021
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება დაბეგვრამდე		712,674	489,223
არაფულადი შემოსავლის და ხარჯების კორექტირებები:			
ცვთის ხარჯი	4	40,270	38,757
მარაგების ჩამოწერა		–	6,174
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების (გაუქმება)	15	(95,342)	(100,420)
მარაგების რეზერვის (გაუქმება)	15	(56,864)	(49,596)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		91,882	204,463
ფინანსური დანახარჯები	16	–	21,352
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		692,620	609,953
ცვლილება მარაგებში		848,401	120,352
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(536,901)	511,375
ცვლილება მიღებულ ავანსებში		104,547	(358,537)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(911,460)	707,764
ცვლილება დასაქმებულთა მიმართ ვალდებულებებში		(1,433)	34,870
ცვლილება სხვა საგადასახადო მოთხოვნებში		(72,463)	(54,691)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებების შემდეგ		123,311	1,571,086
გადახდილი პროცენტი		–	(22,292)
მოგების გადახდილი გადასახადი		(86,713)	–
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		36,598	1,548,794
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შესყიდვები		(22,537)	(2,769)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(22,537)	(2,769)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
დივიდენდების გადახდა	8	(415,840)	–
ნასესხები სახსრების დაფარვა		–	(711,240)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(415,840)	(711,240)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		(401,779)	834,785
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(253,126)	(323,614)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,702,863	1,191,692
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	1,047,958	1,702,863

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 4 ივლისის შემდეგი პირების მიერ:

მიხეილ ჩიქოვანი

გენერალური დირექტორი

ნინა ვასილიყვა

ფინანსური დირექტორი

5-15 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „რობერტ ბოში“ (შემდგომში „კომპანია“) 2011 წლის 12 ივლისს საქართველოში დარეგისტრირებული და მოქმედი კომპანიაა. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის უშუალო მშობელი საწარმო არის „Robert Bosch Investment Nederland B.V.“ (შემდგომში „მფლობელი“), შუალედური მშობელი საწარმო არის „Robert Bosch GmbH“, ხოლო საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის „Robert Bosch Stiftung GmbH Stuttgart“. სამეწარმეო მართვის ფუნქციებს ასრულებს „Robert Bosch Industrietreuhand KG Stuttgart“.

„Robert Bosch GmbH“-თან გაფორმებული დისტრიბუციის ხელშეკრულების თანახმად, კომპანია ყიდულობს მარაგებს, კერძოდ ელექტროხელსაწყოებს და სათადარიგო ნაწილებს და ყიდის კავკასიის რეგიონში. კომპანიამ საქონლის გაყიდვა, როგორც მისი ამონაგების მთავარი წარმომქმნელი საქმიანობა, დაიწყო 2015 წელს. საქმიანობის კიდევ ერთი მიმართულებაა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისთვის სხვადასხვა მომსახურების გაწევა, „Robert Bosch GmbH“-სთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების თანახმად. ეს მომსახურება მოიცავს შემდეგს: კონსულტაცია, თარგმნა, ტექნიკური პირობების შედგენა, სერტიფიცირების მიღებაში დახმარება, ბაზრის კვლევა, გაყიდვის შემდგომი მომსახურება და „რობერტ ბოშის“ პროდუქტების სხვა მხრივ მხარდაჭერა კავკასიის რეგიონში ბრენდის იმიჯის და მომხმარებლების ლოიალურობის გასაუმჯობესებლად.

კომპანიის იურიდიული და ფიზიკური მისამართია: დ. აღმაშენებლის ქ 61, თბილისი, საქართველო.

2022 წლის თებერვალში გეოპოლიტიკური დაძაბულობის ესკალაციამ და უკრაინასთან დაკავშირებულმა კონფლიქტმა უარყოფითი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე. სიტუაცია ჯერ კიდევ იცვლება. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. კომპანიის ხელმძღვანელობა შექმნილ ვითარებაში ეკონომიკურ სიტუაციას თვალს ადევნებს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი. კომპანიის ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“) მიხედვით და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების თანახმად. ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით.

„ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული კრიტიკული მნიშვნელობის სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას. ის საკითხები, რომლებიც საჭიროებს განსჯის შედარებით მაღალ დონეს ან ხასიათდება სირთულით, ან ის საკითხები, რომელთა შემთხვევაშიც ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანია დაშვებები და წინასწარი შეფასებები, წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“) თუკი სხვა რამე არ არის მითითებული და დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები გამოსახულია იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, რომელშიც ეს საწარმო საქმიანობს (შემდგომში „სამუშაო ვალუტა“). კომპანიის სამუშაო ვალუტა ლარია.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსებით. ასეთი ოპერაციების ანგარიშსწორებისა და წლის ბოლოსთვის არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაციის შედეგად საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი, რომელიც უკავშირდება ნასესხებ სახსრებს და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარმოდგენილია „ფინანსური შემოსავლის ან დანახარჯების“ მუხლში. ყველა სხვა საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „სხვა საოპერაციო ხარჯების“ ან „სხვა შემოსავლის“ მუხლში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი სავალუტო კურსები, რომლებიც გამოიყენებოდა უცხოურ ვალუტაში ნაშთების გადაყვანისთვის, იყო: 1 ევრო („ევრო“) = 2.8844 ლარი (31 დეკემბერი, 2021 წ.: 1 ევრო = 3.5040); 1 აშშ დოლარი („აშშ დოლარი“) = 2.7020 ლარი (31 დეკემბერი, 2021 წ.: 1 აშშ დოლარი = 3.0976 ლარი). ამჟამად ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, მოთხოვნამდე ანაბრებს და სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი ვადა, მაქსიმუმ, სამი თვეა.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ღირებულება მოიცავს უშუალოდ მასალებისა და, შესაბამის შემთხვევებში, შრომის პირდაპირ დანახარჯებს და იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა მარაგების მათ ამჟამინდელ მდებარეობასა და მდგომარეობამდე მისაყვანად. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება „ფიფოს“ (პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში) მეთოდით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეული საქმიანობის პროცესში, რომელსაც აკლდება დასრულების და გაყიდვის ხარჯი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასად. ამის შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რასაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა მისაღები თანხის ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების თანახმად.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია პირვანდელი ღირებულება, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. პირვანდელი ღირებულება მოიცავს იმ დანახარჯებს, რომელთა პირდაპირ მიკუთვნებას შეიძლება აქტივის ისეთ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანისთვის, რომ მან შეძლოს ხელმძღვანელობისთვის სასურველი ფორმით ფუნქციონირება.

კომპანია ძირითადი საშუალებების ერთეულის საბალანსო ღირებულებას უმატებს ამ ერთეულის ნაწილების შეცვლის ხარჯს, როდესაც ეს ხარჯი გაიწევა, თუ მოსალოდნელია, რომ შეცვლილი ნაწილი კომპანიას დამატებით სარგებელს მოუტანს მომავალში. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც წმინდა გასვლის ამონაგება და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

ყველა დანარჩენი სარემონტო და ტექნიკურ-სამეურნეო ხარჯი აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, რომლის განმავლობაშიც ის გაიწია.

სხვა აქტივებზე ცვეთის დარიცხვა იმგვარად ხდება, რომ აქტივების თვითღირებულება, მათი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, გადანაწილდეს მათ სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადებზე, ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაა:

ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა
სატრანსპორტო საშუალებები

3–12 წელი
6 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები გადაიხედება და, საჭიროების შემთხვევაში, პერსპექტიულად კორექტირდება, თუ არსებობს ბოლო საანგარიშგებო თარიღიდან მნიშვნელოვანი ცვლილების ნიშნები.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი სავარაუდო ანაზღაურებადი ღირებულება.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას ან ამორტიზაციას ფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა აქტივების გაუფასურების ნიშანი. თუ არსებობს იმის ნიშანი, რომ აქტივი შეიძლება გაუფასურებული იყოს, გაუფასურების დასადგენად მოწმდება აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელზეც აქტივი განაწილებულია) საბალანსო ღირებულება. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ ოდენობით, რამდენითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება და გამოყენების ღირებულება. გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივები დაჯგუფდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომლისთვისაც არსებობს ცალკე იდენტიფიცირებადი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივები, გუდვილის გარდა, რომლებმაც განიცადეს ცვეთა, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის გადაიხედება გაუფასურების შესაძლო გაუქმებისთვის.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასად და შემდეგ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით.

საწესდებო კაპიტალი. ნებადართული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის აქციონერის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მისაღებ თანხებს, რომლებიც აღირიცხება ფასდაკლებების, დაბრუნებების და დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს მაშინ, როდესაც შესაძლებელია ამონაგების თანხის სარწმუნოდ შეფასება, როდესაც მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და როდესაც კონკრეტული კრიტერიუმები დაკმაყოფილებდა კომპანიის ყოველი საქმიანობისთვის, ქვემოთ აღწერილის შესაბამისად. თუ ბარტერული ოპერაციის ფარგლებში მიღებული საქონლის სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ შეფასება შეუძლებელია, ამონაგები ფასდება დათმობილი საქონლის სამართლიანი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვა. საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადაიცემა, როგორც წესი, საქონლის მიწოდების მომენტში. თუ კომპანია დათანხმდება საქონლის ტრანსპორტირებაზე კონკრეტულ ადგილზე, ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაეცემა დანიშნულების ადგილზე მყოფ კლიენტს.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, დროში პროპორციული გადანაწილებით.

მიმდინარე მოგების გადასახადი. მოგების გადასახადები აღირიცხულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისთვის. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილება მოგების დაბეგვრის არსებულ მოდელში. ცვლილება ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება ყველა იურიდიულ პირზე, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა. შეცვლილი მოდელის მიხედვით, გაუნაწილებელი მოგება დაიბეგრება ნულოვანი საგადასახადო განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგება 15%-იანი საგადასახადო განაკვეთით. წინა მოდელის მიხედვით, 15%-იანი საგადასახადო განაკვეთი ვრცელდებოდა კომპანიის დასაბეგრ მოგებაზე განურჩევლად იმისა, მას გაუნაწილებლის სტატუსი ჰქონდა თუ განაწილებულის.

მოგების გადასახადის ახალი წესები ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვრცელდება კომპანიაზე. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც ფაქტობრივი, ისე პირობითი მოგების განაწილებას, მათ შორისაა:

- ▶ განაწილებული მოგება;
- ▶ გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- ▶ უსასყიდლოდ საქონლის/მომსახურების მიწოდება ან/და ფულადი სახსრების გადარიცხვა; და
- ▶ საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

განაწილებული მოგების გადასახადის აღიარება ხარჯად ხდება დივიდენდების გამოცხადების მომენტში და აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგების „მოგების გადასახადის“ მუხლში. მიმდინარე საგადასახადო აქტივები და საგადასახადო ვალდებულებები მიმდინარე და წინა პერიოდებისთვის ფასდება იმ თანხის ოდენობით, რომლის საგადასახადო ორგანოებისგან მიღება ან საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდაა მოსალოდნელი.

ზემოთ აღწერილი განაწილებული მოგების გარდა სხვა დაკისრებული გადასახადი აღირიცხება „სხვა საოპერაციო ხარჯების“ სახით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დაბეგვრის კონცეფციის ცვლილების გამო ტერმინი „აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზა“ კარგავს თავის ეკონომიკურ მნიშვნელობას და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივების განმარტება ბასს 12-ის „მოგების გადასახადი“ შესაბამისად, არ მოქმედებს მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელის მიხედვით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. ნაწარმის გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადაიხდება მომხმარებლებისთვის საქონლის მიწოდებისთანავე. დღ-ის ჩასათვლელი თანხა ზოგადად მიიღება გადასახდელი დღ-ს საფუძველზე, დღ-ს ინვოისის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული დღ-ის აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ხდება ნეტო საფუძველზე. როდესაც იქმნება მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მევალის საერთო თანხასთან მიმართებით, დღ-ის ჩათვლით.

2015 წლის 31 დეკემბრიდან ხელმძღვანელობა კომპანიის საგადასახადო ნაშთებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2015 წლის 7 დეკემბრით დათარიღებული 407 ბრძანების თანახმად.

იჯარა. საოპერაციო იჯარაზე გადახდების აღიარება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით და წარმოდგენილია „სხვა საოპერაციო ხარჯებში“.

ცვლილებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდგომ. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა აქციონერის მიერ. კომპანიის მფლობელებს და ხელმძღვანელებს შეუძლიათ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანა მისი გამოშვების შემდეგ.

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

2020 წლის 1 იანვარს ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ 69-76 მუხლებში, რომლებიც აკონკრეტებს ვალდებულებების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიცირების წესებს. ცვლილებები განმარტავს:

- ▶ რა იგულისხმება ანგარიშსწორების გადავადების უფლებაში;
- ▶ რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- ▶ რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, გამოიყენებს თუ არა საწარმო გადავადების უფლებას;
- ▶ რომ თუ კონვერტირებად ვალდებულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი თავად წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტს, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ იმოქმედებს ვალდებულების პირობები მის კლასიფიკაციაზე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და მათი გამოყენება უნდა მოხდეს რეტროსპექტიულად. ამ ცვლილებებს სავარაუდოდ გავლენა არ ექნება კომპანიაზე.

სააღრიცხვო შეფასებების განმარტება – ბასს 8-ის შესწორებები

2021 წლის თებერვალში ბასს-მა გამოუშვა ბასს 8-ის შესწორებები, რომლებშიც წარმოადგინა „სააღრიცხვო შეფასებების“ განმარტება. შესწორებები განმარტავს განსხვავებას სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებსა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებს შორის და შეცდომების გასწორებას. გარდა ამისა, იგი ასევე განმარტავს, როგორ იყენებენ საწარმოები შეფასების ხერხებს და ამოსავალ მონაცემებს სააღრიცხვო შეფასებების მისაღებად.

ცვლილებები ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და ვრცელდება სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებზე, რომლებიც დგება ამ პერიოდის საწყისი თარიღით ან მის შემდგომ. დაშვებულია ვადაზე ადრე გამოყენება, თუ ეს ფაქტი გაცხადდება.

ცვლილებებს, სავარაუდოდ, არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები – შესწორებები ბასს 1-სა და ფასს-ის მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში

2021 წლის თებერვალში ბასს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს-ის მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში „არსებითობის განსჯა“, რომლებიც შეიცავს მითითებებსა და მაგალითებს, რათა დაეხმაროს საწარმოებს სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებების არსებითობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში. შესწორებების მიზანია საწარმოებს დაეხმაროს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ უფრო სასარგებლო განმარტებით შენიშვნების წარმოდგენაში, რისთვისაც, საწარმოებისადმი მოთხოვნა, რომ განაცხადონ „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკა, ჩანაცვლდა მოთხოვნით, რომ განაცხადონ თავიანთი „არსებითი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და დაემატა ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ საწარმოებმა არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენასთან დაკავშირებით.

ბასს 1-ში შესული ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. ვინაიდან ცვლილებები მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში შეიცავს არასავალდებულო მითითებებს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციაში ტერმინის „არსებითის“ განმარტების გამოყენების თაობაზე, მათი ძალაში შესვლის თარიღი არ არის საჭირო.

კომპანია ამჟამად არის თავისი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციის გაცხადების გადასინჯვის პროცესში, რათა უზრუნველყოს მისი შესაბამისობა განახლებულ მოთხოვნებთან.

კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნებზე.

ქვემოთ ჩამოთვლილია სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა. ეს სტანდარტები, სავარაუდოდ, არ იქონიებს გავლენას კომპანიაზე:

- ▶ ფასს 17: „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- ▶ ერთი გარიგებიდან წარმომდგარ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი – ცვლილებები ბასს 12-ში;

ამ ცვლილებებს, სავარაუდოდ, არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები

კომპანია მიმართავს გარკვეულ შეფასებებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალების შემადგენელი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება დამოკიდებულია ხელმძღვანელობის დაშვებებზე, რომლებიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან წარსულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. რომელიმე ან პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების კორექტირება.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39-ის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება მათი სამართლიანი ღირებულებით უნდა მოხდეს. თუ გარკვეული ოპერაციების აქტიური ბაზარი არ არსებობს, ხელმძღვანელობა თავად განსჯის, ეს ოპერაციები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით არის განფასებული თუ არასაბაზროთი. განსჯისას ხელმძღვანელობა ეყრდნობა დაუკავშირებელ (მისგან დამოუკიდებელ) მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

4. ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება			
1 იანვარი, 2021 წ.	80,803	166,648	247,451
შემოსვლები	2,769		2,769
31 დეკემბერი, 2021 წ.	83,572	166,648	250,220
შემოსვლები	22,537	–	22,537
გასვლები	(22,643)	–	(22,643)
31 დეკემბერი, 2022 წ.	83,466	166,648	250,114
დაგროვილი ცვეთა			
1 იანვარი, 2021 წ.	53,192	52,262	105,454
წლის დანარიცხი	10,972	27,785	38,757
31 დეკემბერი, 2021 წ.	64,164	80,047	144,211
წლის დანარიცხი	12,485	27,785	40,270
გასვლები	(22,643)	–	(22,643)
31 დეკემბერი, 2022 წ.	54,006	107,832	161,838
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	19,408	86,601	106,009
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	29,460	58,816	88,276

შპს „რობერტ ბოში“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2022 წლის 31 დეკემბერი

(რიცხვები ლარშია მოცემული)

5. მარაგები

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
გასაყიდად გამიზნული მარაგები	2,832,787	3,692,648
სხვა მარაგები	135,814	124,354
მარაგების ანარიცხები	(174,613)	(231,477)
მარაგები, სულ	2,793,988	3,585,525

გაყიდული მარაგების თვითღირებულებამ შეადგინა 19,451,234 ლარი (2021 წ.: 15,778,168 ლარი). 2022 წლის განმავლობაში კომპანიამ შეამცირა მარაგების მოძველებისთვის შექმნილი ანარიცხები 56,864 ლარით (2021 წ.: 49,596 ლარით შემცირება).

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
მესამე მხარეებისგან მისაღები სავაჭრო მოთხოვნები	1,504,941	1,201,638
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ (მე-19 შენიშვნა)	49,053	30,828
გამოკლებული: გაუფასურების ზარალის რეზერვი	(515,990)	(611,332)
სულ სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	1,038,004	621,134
გადახდილი ავანსები	19,013	31,624
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,057,017	652,758

2022 წლის განმავლობაში 95,342 ლარის სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები გაუქმდა (2021 წ.: 100,420 ლარის გაუქმება) (მე-15 შენიშვნა).

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	1,047,958	1,618,585
გზაში მყოფი ფულადი სახსრები	–	84,278
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	1,047,958	1,702,863

8. საწესდებო კაპიტალი

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, Robert Bosch Investment Nederland B.V. ფლობდა კაპიტალის 100%-ს. 2,636,275 ლარი სრულად იყო შეტანილი საწესდებო კაპიტალში ფულადი სახსრების სახით.

2022 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და სრულად გადაიხადა 415,840 ლარის დივიდენდები (2021 წ.: ნული).

2022 წლის განმავლობაში კომპანიამ დაარიცხა და გადაიხადა 86,713 ლარის მოგების გადასახადი (2021 წ.: ნული), საიდანაც 73,384 ლარი დაერიცხა განაწილებულ მოგებას.

შპს „რობერტ ბოში“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2022 წლის 31 დეკემბერი

(რიცხვები ლარშია მოცემული)

9. მიღებული ავანსები

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
მესამე მხარეებისგან მიღებული ავანსები	329,867	225,320
სულ მიღებული ავანსები	329,867	225,320

2022 წელსა და 2021 წელს მიღებული მთლიანი ავანსები მოდის მესამე მხარეებისგან მიღებულ ავანსებზე. ავანსები ძირითადად უკავშირდება კომპანიის ორ მთავარ კლიენტს.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
სავაჭრო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ	144,229	192,780
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ (მე-19 შენიშვნა)	66,518	1,322,270
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	210,747	1,515,050

11. ამონაგები

	2022	2021
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	23,697,620	19,736,576
კლიენტებზე გაცემული ფასდაკლებები და ბონუსები	(891,512)	(587,218)
სულ ამონაგები	22,806,108	19,149,358

კომპანიამ საქონლის გაყიდვა 2014 წლის დეკემბერში დაიწყო. „Robert Bosch GmbH“-თან გაფორმებული დისტრიბუციის ხელშეკრულების თანახმად, კომპანია ახდენს ელექტროხელსაწყოების და სათადარიგო ნაწილების იმპორტს საქართველოში, რომ შემდეგ გაყიდოს სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში. საქონლის გაყიდვა კომპანიის საქმიანობის ძირითადი შემოსავლიანი მიმართულებაა.

12. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2022	2021
გაყიდული მარაგების თვითღირებულება	19,451,234	15,778,168
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	19,451,234	15,778,168

შპს „რობერტ ბოში“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2022 წლის 31 დეკემბერი

(რიცხვები ლარშია მოცემული)

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
ხელფასები	454,980	361,968
პრემიები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	206,276	228,850
საკონსულტაციო მომსახურება დაკავშირებული მხარეებისგან (მე-19 შენიშვნა)	215,242	176,096
ბიზნესის განვითარების სერვისები	147,722	129,255
კონსულტაციისა და აუდიტის გასამრჯელო	83,263	109,216
იურიდიული მომსახურების ღირებულება	32,674	47,694
კომპიუტერის ხარჯები	9,167	4,407
საკანცელარიო საქონელი და საოფისე ინვენტარი	5,996	2,650
სატრენინგო მომსახურება	3,816	4,968
მარკეტინგისთვის გამოყენებული მარაგები	–	34,699
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ	1,159,136	1,099,803

14. დისტრიბუციის ხარჯები

	2022	2021
საბაჟო საბროკერო მომსახურება	117,013	390,940
საქონლის ტრანსპორტირება	377,925	372,415
სულ დისტრიბუციის ხარჯები	494,938	763,355

15. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2022	2021
გაყიდვების სტიმულირება და მარკეტინგი	410,979	364,706
საიჯარო ხარჯი	358,995	371,480
სადაზღვევო ხარჯი	57,492	53,592
სამივლინებო ხარჯი	54,473	11,278
ცვეთა (მე-4 შენიშვნა)	40,270	38,757
საწვავის ხარჯი	33,497	31,546
გარანტიის ხარჯები, წმინდა	27,943	10,983
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	36,291	10,177
კომუნალური ხარჯები	17,963	15,657
კომუნიკაციის ხარჯები	7,588	4,990
მარაგების ჩამოწერა	–	6,174
მარაგების რეზერვის (გაუქმება) (მე-5 შენიშვნა)	(56,864)	(49,596)
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვის (გაუქმება) (მე-6 შენიშვნა)	(95,342)	(100,420)
სხვა ხარჯები	34,233	35,914
სხვა საოპერაციო ხარჯები, სულ	927,518	805,238

16. ფინანსური დანახარჯები

	2022	2021
საკუროს სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი	215,518	204,463
საბანკო მომსახურების ღირებულება და საკომისიო	15,062	11,732
საპროცენტო ხარჯი (მე-19 შენიშვნა)	–	21,352
სულ ფინანსური დანახარჯები	230,580	237,547

17. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მიერ სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს განმარტებული. გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვას და მოკვლევას მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების, საურავებისა და პროცენტის დაკისრების უფლება. საგადასახადო წლის შემოწმება საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში უფრო დიდი ხნის შემდეგაც.

ამ გარემოებებმა შეიძლება სხვა ბევრ ქვეყანაზე არსებითად უფრო მაღალი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება კომპანიის ინტერპრეტაციებთან განსხვავდებოდეს და, მათი წარმატებით აღსრულების შემთხვევაში, ამან შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები. კომპანია საოპერაციო იჯარის ფარგლებში იჯარით გასცემს საოფისე და სასაწყობო ფართებს. ამ იჯარებს აქვს ერთიდან სამ წლამდე ვადა. საიჯარო ხელშეკრულებების უმეტესობა განახლებადია იჯარის ვადის ბოლოს საბაზრო ფასად.

მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები შეუქცევადი საოპერაციო იჯარის ფარგლებში ხდება ერთი წლის განმავლობაში და შეადგენს 16,374 ლარს და 12,869 ლარს 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

18. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები (მე-6 შენიშვნა)	1,038,004	621,134
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (მე-7 შენიშვნა)	1,047,958	1,702,863
სულ	2,085,962	2,323,997
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები (მე-10 შენიშვნა)	210,747	1,515,050
დასაქმებულებზე გასაცემი ხელფასები	116,535	117,968
სულ	327,282	1,633,018

ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას მეტწილად ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი ხასიათის გამო.

19. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მიმდინარე ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან ასე გამოიყურებოდა:

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ (მე-6 შენიშვნა)		
– საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	49,053	30,828
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ (მე-10 შენიშვნა)		
– საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	66,518	1,322,270
დივიდენდების გადახდა (მე-8 შენიშვნა)		
– საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	415,840	–

მოთხოვნები არაუზრუნველყოფილია და პროცენტი არ ერიცხება. დაკავშირებული მხარეების მიმართ მოთხოვნებისთვის ანარიცხები არ არის შექმნილი.

დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლისა და ხარჯის მუხლები ასე გამოიყურებოდა:

	2022	2021
მარაგების შესყიდვა		
– საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	18,258,379	15,620,678
მომსახურების ანაზღაურება		
– საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	74,892	61,002
თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები (სოციალური უსაფრთხოების ხარჯი)		
– საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	4,836	465
პროფესიული მომსახურება (საკონსულტაციო მომსახურება) (მე-13 შენიშვნა)		
– საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	215,242	176,096
დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი (მე-16 შენიშვნა)		
– შუალედური მშობელი საწარმო	–	21,352

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელებში შედის კომპანიის კომერციული დირექტორი. კომერციული დირექტორისთვის აღმასრულებელი ხელმძღვანელის თანამდებობაზე სრულ განაკვეთზე მუშაობაში გადახდილი ანაზღაურება შედგება საბაზისო ხელფასისგან, ფულადი პრემიისგან და სხვა სარგებლისგან. მთლიანი ანაზღაურება, რომელიც აისახა მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გაუტოლდა 186,758 ლარს 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (2021 წ.: 171,481 ლარი).